



ივერი

რედაქცია:

ნიკოლოზის ქუჩა, 21.

ტფალისა.

გაზეთის დასაბარებლად

და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვამაგურს. საზოგადოების კანცელარიის.

ყვანა განცხადებისა:

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერის“ ტელეფონი №227

სუთმაბათი, 8 თებერვალი 1896

გაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
21	10	—	6	6	—
11	9	0	5	5	50
10	8	5	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	2	2	2	75
7	6	5	1	1	50

ცალკე ნომერი — ერთი შაური.

„ივერის“ ტელეფონი № 227.

ქართველ თავად-აზნაურთა თეატრში

სამშაბათს, 13 თებერვალს,

ფრიად საყურადღებო წარმოდგენას გაჰმართავს ცნობილი ჯიბნოტიზერი, სპირიტი და სხვის აზრების გამომცნობელი

3. ფ. ლერსი.

რომელსაც წარმოდგენა გაუმართნია საიმპერატორო გვარეულობის წევრთათვის და აგრეთვე ტფილისის კრუჟოკშია 1891 წელს. ბილეთები 3. ლანკოს მუსიკალურს მალაზიაში ისყიდება.

(2—14—2)

პატივსი პილის კიბითა

3. ი. შიშინაძისა და ძ-ნის ძს. დ. ილარიონოვიჩისა.

მხივილ. ქუჩა, სახლი კრაუზესი, 79.

ავადმყოფებს მიიღებენ დილის 9—3 და საღამოს 4—7 საათამდე.

ქართველთა ამხანაგობის გამოცემა № 36

ღვინის ღაყენება

პროფესორის ვას. პეტრიანოვიჩისა ფასი 2 მან. 50 კაპ.

ისყიდება ამხანაგობის მალაზიაში ქვეშეთის ეკლესიის პირდაპირ.

ტფილისი, 8 თებერვალი.

გაზეთებმა მოგვიტანეს ამბავი, რომსა ბერძნობის თავად-აზნაურობას საგუბერნიო კრებაში სიტყვა ჩამოუგდია იქაურ სამონასტრო მამულებზე. ყველამ იცის, რომ ბესსარაბიაში დიდ-ძალი მამულები ეკუთვნის მონასტრებსა, რომელნიც აღმოსავლეთში არსებობენ. წინ დაუხედავ და ყოვლად ურიგო ბატონობამ ბერძნის ბერებისამ ამ მამულებშიო, ამბობენ გაზეთები, ამ ოცდახუთის წლის წინადავ მიიქცია ყურადღება იქაურ ერობისა, რომელმაც დაადგინა თურმე როგორმე უშველოს და ამისთანა ურიგობა მოსპოს. მაშინ ერობას უშამდგომლობა გაუწევია, რომ იგი მამულები ბერძნის ბერებს ჩამოერთვას და ერობას მიეცეს. ეს საქმე იქ იმით გათავდა, რომ ხაზინამ დაიკეთა ის მამულები, მისის შემოსავლით დაჰმართა სკოლები და სხვა სამადლო საქმესაც უძღვე-

ბოდა. პატრონობა და ხმარება მამულებისა რიგში და წესში ჩაჯარდა, სკოლები გამრავლდა, ბევრი ეკლესია აშენდა და შეკეთდა. რაც ყოველს ამას ჰრჩება იმს დღესაც უზუნაინან ბერძნის ბერებს აღმოსავლეთში.

ესლა, როგორც ეტყობა, ამ მონასტრის მამულების საქმესვე შესდგომია თავად-აზნაურობა. საიღლა-მაც შეუტყვიათ, რომ ბერძნის ბერები ძალიან ირჯებიან, ეგება ეს მამულები ხელ-ახლად დაიბრუნონ და ერთს ბესსარაბიის აზნაურთაგანს კრისტის უთქვამს, ესლა საქმე ამ გზაზედა სდგასო და საჭიროა თავად-აზნაურობამ ხმა ამოიღოს და არამც და არამც ბერძნის ბერებს ხელში ეს მამულები აღარ ჩაუგდოსო. კრებაში გამოაცხადეს, რომ სხვა ქვეყნის სამღვდლოების უფლება ამ მამულებზე უსაბუთოა: თავისი დღეში იმით საკუთარების უფლებით არა სჭერიათ ჩვენში მამულები და თუ არხივებში მონაწილეობა, ბევრს საბუთს ვიპოვით ამის დასამტკიცებლადო. ბოლოს კრებას დაუდგენია ვიშუამდგომლოთ, რომ უარი ეთქვათ ხსენებულ მამულებზე ბერძნის სამღვდლოებასო.

გაზეთები ჰკვირობენ: იმისთანას რას ჰხედვენ ამ დროში ბერძნის ბერები, რომ იმედი მისცემით მამულების დაბრუნებისა და დაძინებული საქმე ხელ-ახლად გაუღვიძებიათო?

ჩვენშიაც არის ამისთანა მამულები და თუმცა იგინი, თუ არა ვცდებით, ხაზინის განკარგულებაშია, მაგრამ შემოსავალს-კი სულ ბერძნის ბერებს უზუნაინან ათონის მთაზე. ესეთი წყალობა უფრო მით არის საოცარ-

რი, რომ მონასტერი, რომელიც ძველის-ძველიდამე ქართველებისა იყო და რომელსაც შესწირეს ქართველებმავე აქაური მამულები, ესლა ბერძნის ბერებმა დაისაკუთრეს და ქართველი ბერები-კი გამოაჭარეს. რამდენსა ჰქვიაღობენ საწყალი ქართველთა ბერები, რომ ესე კანდიერად გალახული ბერძნის ბერებისაგან სამართალი კვლავ აღედგინათ და ქართველთა მონასტერი და მისთვის შესწირული მამულები ქართველთა ბერებსვე ჰქონოდათ, მაგრამ ბევრს არას გახდნენ.

განა ცოდვა იქნება და არა დიდი მადლი, დიდი ღვაწლი, რომ ჩვენებურმა თავად-აზნაურობამ ამ საეროვნო საქმეს უბატონოს და ეცადოს ჩვენზე ჩვენებს დაუბრუნოს! დიდი შემოსავალი აქვს ათონის ბერძნის ბერებს ჩვენგან, თუ ცოტა, განა არა სჯობია იგი შემოსავალი ან აქვე მონაწილეს სკოლებს და ეკლესიებს, ან სხვა სამადლო საქმეს, როგორც ბესსარაბიაში არის თურმე, ან ისევე ჩვენს ბერებს მიეცეთ, ათონის მთაზედ მცხოვრებთა და არა უცხო თესლის ბერებს, როგორც ჩვენთვის ბერძნები არიან. ჯერ ამას ითხოვს სამართალი და მერე იგი სახსოვარი ჩვენთა მამა-პაპათა, რომელთაც ათონის მთაზე ქართველთა და საქართველოს ხსენებისათვის ამოდენა ღვაწლი დასდეს და ამოდენა მამულები შესწირეს და გაიმეტეს. იმის მაგიერად რომ აქ დღეს თავად-აზნაურობის სახელით ერთმანეთს თავში ვცემთ, ერთმანეთს ვრისხავთ და ვგმობთ, ის არა სჯობია ეგ სახელი თავად-აზნაურობისა ამისთანა საქმეებო საქმეს მივაშველოთ და თუ რამ ვისმე შეუძლიან, ამისთანა საქმეში გაუწიონ ჩვენს ქვეყანას სამსახურს... აქ საქმეც საკადრისია თავად-აზნაურობისათვის და ღვაწლიც, თუ გულის მართლა ჰგულობს და სახელი ჰსახელობს.

ახალი ამბავი

„* შაბათს, 3 თებერვალს, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავ-

ზედ დაძლინებს ნანასა... და თითქოს ბანსა აძლევდნენ დედის უმანკო ლხენასა— ფრინველნი ტბილად გალობენ აჭიკ-ჭიკებენ ენას; მზისა სხივები სარკმლიდამ ნორჩსა ჰკოცნიან, ლოცავენ და ნიშნად მისი სიწმიდის თავით გვირგვინსა უწნავენ...

ცხოვრების ჩარხი ტრიალებს, მუშაობს ხელი ბედისა, ჩირად მიანის ნანინა იმედნეულის დედისა!..

II

ისევ საღამო... მზე სოფელს იმგვარვე ესალამება, თვისს სათაყვანო დიდებით მთათ იქით მიიშალება

ვრცლებელ საზოგადოების* გამგეობისაგან აღექსანდრე ეპისკოპოსის მიერ ქვეშეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გარდახდულ იქნა პანაშვიდი ახლად გარდაცვალებულის იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დაესწრნენ როგორც წვერნი ამა საზოგადოებისა, ისე მრავალი გენერლობა, მოღვაწენი, სხვა-და-სხვა დაწესებულებათა მოხელენი, ქართულ დრამატული დასის არტისტი და სხვა საპატიო პირნი.

* * * ერევანი. 2 თებერვალს, აქაურს საკრებულო ტაძარში, გარდავიხადეთ პანაშვიდი განცხადებულის მწყემსთ-მთავრის გაბრიელის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დაესწრო მთელი აქაური ქართველი საზოგადოება. პანაშვიდი გარდახდა დეკანოზმა მ. ისააკ იორდანაშვილმა ქართულს ენაზე ქართულ ვალობით, რომელმაც მოკლედ განუმარტა საზოგადოებას მისი ღვაწლი ეკლესიისა და ქართველ საზოგადოებისადმი.

* * * როგორც ბაქოში გამართულმა ქართულმა საღამომ, ისე განჯის ჩვეულებრივმა საღამომ თურმე მეტად მშვენიერად ჩაიარა და დიდძალი საზოგადოება მიიზიდა.

* * * დიდ მარხვის მეორე კვირაში ტფილისის ერთ-ერთ თეატრში გამართული იქნება კონცერტი მიხეილის საავადმყოფოსთან დაარსებულ საფულ-შეწო სკოლის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ. ამ სკოლის მოსწავლეთა რიცხვი ოც-და-ათამდე თურმეა, რომელთა უმეტესი ნაწილი ქართველთაგან შესდგება, მაგრამ ისე ღარიბნი არიან, რომ ამ საშინელს სიცივეში უბალტოოდ და დაგლეჯილ ფეხთ-საქმელებით დადიან. სკოლის გამგეობას-კი არავითარი საშუალება არა აქვს, რომ რაიმე დახმარება აღმოუჩინოს ღარიბ მოსწავლეთ. ამიტომ ჰმართვენ კონცერტს და იმედი ჩვენი საზოგადოება თავის გულ-მხურვალე თანაგრძობას არ მოაულებს ამ სკოლის მოწაფეთ.

* * * ჩვენ მივიღეთ ცალკე ხმებად—სამ წიგნად დაბეჭდილი „ქართული გალობა“ ლიტურგია იოანე ოქროპირისა მღვდლისა და მღვდელ-

მთავართათვის, გადაღებული ფილიმონ ი. ქორიძის მიერ. წიგნები და ბეჭდილია უფრო უკეთესს ქალაქზე, ვიდრე პირველი წიგნი იყო, სამს ხმაზედ ერთად, შეიცავს თვითეული მათგანი 70 გვერდს და ღირს ორ-ორ აბაზად, ხოლო სამი ერთად ღირს ერთი მანეთი.

* * * ტფილისის გაზეთების სიტყვით, ტფილისში პირველ საკვირაო სააქო სკოლის გახსნას თურმე აპირებენ. სკოლა გაიხსნება ტფილისის ნიკოლოზის სასწავლებლის სადგომში.

* * * ამიერ კავკასიის რკინის გზის სამმართველო იუწყება, რომ დღეიდან სახალხო მატარებლები № 3 და 4 ივლიან; ბათუმიდამ № 4, რომელიც 12 საათსა და 20 წამზე მოდის ტფილისში დღისით, და ტფილისიდან ბათუმს მატარებელი № 3, რომელიც საღამოს 6 საათსა და 50 წამზედ მიდის, ის მატარებელი, რომელიც დილის 9 საათსა და 30 წამზედ მიდოდა ბათუმს და ბათუმიდამ საღამოს 10 საათზე მოდიოდა, მხოლოდ ხაშურამდე ივლის.

* * * საღვთო მოლოთილამ დებეშით იუწყება ინტენერ-მუატი: ორი დღეა თოვლი მოდის, მაგრამ წყნარი ამინდიაო. თუ ქარი ამოვარდა, გვეი არ არის გზა კიდევ შეიკვრება.

* * * ამიერ კავკასიის რკინის გზის მოძრაობის უფროსი ბ. ნი. ზლოტნი-ცკი პეტერბურგს წავიდა.

* * * 5 თებერვალს, საღამოს 7 საათზე, ტფილისში თოვა დაიწყო და ჯერაც გადაუღებლად თოვა, მაგრამ სქალად-კი ვერ დასდო თოვლი, რადგან ძალიან წყლიანია.

* * * როგორც ვაგიგეთ, სოფ. საჩინოს მახლობლად მთიდან დიდის თოვლის გამო მიწის ზვავი ჩამოწოლილა და რამდენიმე მოსახლობა ქვეშ მოჰყოლია, ჯერ-ჯერობით ნამდვილად არ იცინ კაცი იმსხვერპლა თუ არა ამ ზვავმა, მაგრამ საფიქრებელია უბედურება რამ მოხდინოსო.

* * * სამთა დეპარტამენტმა, სცნო-რა სასარგებლოდ ესლავე მოახდინონ გეოლოგიური გამოკვლევანი

ნადველსა ჰლესავს ცრემლებში და ზედ აპურებს გაყინულს; ხან ევედრება სიტყვის თქმას, ხან ზედ ეხვევა კუბოსა ჰსურს ოცის წლისა ვაჟ-კაცსა სიკაცსლევ დაუბრუნოსა!..

და თითქოს იბრალებნო იმის დატანჯულს ქალობას— მხოლოდ ფრინველნი წყნარის ხმით ამბობენ უცხო გალობას; მზის სხივი გამოსათხოვრად ვაჟ-კაცსა საფლავს ურთავენ და ნიშნად სიბრალულისა ხელ-უხლებ გვირგვინს უწნავენ...

ცხოვრების ჩარხი ტრიალებს, მუშაობს ხელი ბედისა, ჩირად მიანის ვაება გამწარებულის დედისა!..

ფელეტონი

ორი სურათი.

I
საღამო არის... მზე სოფელს აღერსით ესალამება, გულის წარმტაცის მშვენებით მთათ იქით მიიშალება და თითქოს თვისის სიტურფით ცას აწონებდეს იგი თავს—ათას ფერად და ღრუბლებში არგვლივ სხვი ვაშლით მისცურავს—ბედნიერია ეთერი, დღესასწაულობს სოფელი, ხან აღმგებელი დიდების, ხან პირქვე დამამხობელი!..

ერთს ღარიბ ქობში უსამზღვროთ დედა დაჰხარის ჩვილს შვილსა, გაუტაცანია მისს აღერსს და მისს ღვთიურსა დიმილსა. აღტაცებული ყურს უგდებს მისს მოტიტინე ენასა, მასშიგან სახავს იმედებს და მომავლისა ლხენასა. ენას უჩივებავს, ამბოროს ჰყოფს, ხან ნაზათ ვარცხნის ხუჭუჭსა, სიხარულს ჰლესავს ცრემლებში და ზედ აპურებს ნორჩს გულსა. შავ-თვალ ბრიალა პაწაწაც შოშიებრ შეჰსკულობინებსა, ხან „ტას“ იძახის და ხანაც უმანკოდ გაიკინებსა... ურწებს და ურწებს აკვანსა მზის დარს და ვარდისთანასა და სალომ-გმირო იმედით

ზედ დაძლინებს ნანასა... და თითქოს ბანსა აძლევდნენ დედის უმანკო ლხენასა— ფრინველნი ტბილად გალობენ აჭიკ-ჭიკებენ ენას; მზისა სხივები სარკმლიდამ ნორჩსა ჰკოცნიან, ლოცავენ და ნიშნად მისი სიწმიდის თავით გვირგვინსა უწნავენ...

ცხოვრების ჩარხი ტრიალებს, მუშაობს ხელი ბედისა, ჩირად მიანის ნანინა იმედნეულის დედისა!..

II

ისევ საღამო... მზე სოფელს იმგვარვე ესალამება, თვისს სათაყვანო დიდებით მთათ იქით მიიშალება

და თითქოს თვისის ეშხითა ზღვას აწონებდეს იგი თავს—ათასნაირის ცეცხლ ფრკვევით ლურჯ ზვირთებისკენ მისცურავს—კამ-კამ—ნეტარებს ლურჯი ცა, ძილად მზადდება სოფელი, ხან-კი მოჩილი დიდების, ხან პირქვე დამამხობელი!..

იმავე ქობში სიმწარით დედა დასტირის თვისს შვილსა, მთა-ბარს შესჩივის, ღმერთს ჰყვედრის იმის უდროვო სიკვდილსა. გამწარებული უკოცის მას გალურჯებულს სახესა, თმას და გულს იგლეჯს, იკაწრავს ცრემლით დაქანცულს თვალებსა. ხან ემუქრება, ხან ლოცავს, ხანაც აფიქებს სიყვარულს,

ნადველსა ჰლესავს ცრემლებში და ზედ აპურებს გაყინულს; ხან ევედრება სიტყვის თქმას, ხან ზედ ეხვევა კუბოსა ჰსურს ოცის წლისა ვაჟ-კაცსა სიკაცსლევ დაუბრუნოსა!.. და თითქოს იბრალებნო იმის დატანჯულს ქალობას— მხოლოდ ფრინველნი წყნარის ხმით ამბობენ უცხო გალობას; მზის სხივი გამოსათხოვრად ვაჟ-კაცსა საფლავს ურთავენ და ნიშნად სიბრალულისა ხელ-უხლებ გვირგვინს უწნავენ...

ა თვისის ოლქში ქუთაისის გუბერნიისა, მდინარე ქორახსა, ბერტასუსა და არდნუჩ ჩიხუ და აგრეთვე შეისწავლონ, სად და რა ადგილებში მოიძებნება ოქრო იანჩურ-კალი-სანი-ჩოქში და სხვაგან, — მიანდო კავკასიის სამთო გამგეობას ეს ადგილები გამოსაკვლევ ადგილების გეგმაში მოაქციონ, რადგანაც ამ მიმდინარე წელს არის დანიშნული ხსენებულ ადგილების გამოკვლევა, — სწერს გ.ზ. „ნოვ. ობ.“

* * * როგორც ქუთაისიდან, ლეჩხუმიდან და სხვა ადგილებიდან გვატყობინებენ, ამ უკანასკნელის სამის კვირის განმავლობაში საშინელი დიდი თოვლი მოსულა თითქმის ყველგან, — ზოგან ორ არშინამდე, ხოლო სხვაგან თოვლი თვითო საყენამდე დაუდგია. ბევრს ადგილას სახლებიც დაუნგრევია და ხალხიც უმსხვერპლია. ხალხი დიდს გაჭირვებაშია უშეშობისა და უგზოობის გამო.

ქ ო რ ა მ ს კ ო ნ დ ე ნ ც ი ა .

მ. ოზურგეთი, 26 ანკარა. ჩვენსკენ ამ თვის 13-დამ სანთელი სიციხეები დაიჭირა და ისე სთავს, რომ კაცს ჩრდილოეთს მოაგონებს. გუშინდღამდის თითქმის სულ განუწყვეტლივ თოვდა და კადეგვრ დათოვა თითქმის სულ ნიშნულზე მეტად და გუშინ-კი მისევე გამოიყვანა და ამდენი ხნის მოყოლილი თოვლი ძლიერ დადნა და დნა. გუშინდღამდის დაბნეული ვეგვს ცოტათი იმედი მოგვცა, რომ ამინდი გამოიხატებოდა, მაგრამ თქვენი მტერი, წყნების უნებ იყო და დამადამ დაწვეული შუადღემდე განუწყვეტლივ თოვს. ჩვენ, საზოგადოდ, არა ვართ ჩვეული ამგვარ წამთარს და ამიტომაც იშვიათად, რომ კინძის მოკმარებას არა შევა, ან სამყოფო საქონლის საკვები ამისთანა სიციხეებისათვის, რომ წესიერად შესწავროდა მას და ესაა შეგომდინარე წარმოდგინათ, რა გასაკვირებია ვართ. უკუბა თითქმის სულ კვდარ მუშაობს, რომ სოფელადამ რამე ჩამოატანონ და თუ-კი როგორმე დემტით მოკმარა და ჩამოვიდა, უკუბა შევა, რომელიც ჩვეულებრივ იყავოდა ორ-ახალად და ხანათ შუგად, დღეს იყავდა მანეთ-ნახევრად და 2 მანეთად. რასაკვირველია, ამისთანა მდგომარეობა მეტად ძნელია, მაგრამ მარტო ეს რომ გააწყობდეს, კადეკ არაფერია. საქმე იმაშია, რომ ესაა ჩვენში გავრცელებულია ყოველგვარი წამთარს აკადემიოფობა, უფრო ბავშვების წითელა, ელ-ჭირვება, ყვავილი და სოფელე, მეტადვე ყვავილი და შეკვდა კი არსით არის. ჩემის აზრით, ესაა უნდა სოფელს შეკვდა, რომ ყვავილის ამრელებსა დაიარონ სახლები და ვისაც აზრიალი არა აქვს, ყვავილი აყვრან და მასწინ დაბრეკება, თუ როგორ მოაქციონ. ამისთანავე ძალიან კარგი იქნებოდა, რომ სასწავლებლის უფროსები განათავისუფლებდნენ ბავშვებს, რომ როცა ძალიან თოვს და ქარბუქია, არ იარონ სკოლაში.

შეიძლება კინძემ იფიქროს, რომ ოზურგეთი ისე მატარა ქადაქა, რომ მაინც და მაინც არაყის არ გაუჭირდება ცოტა მანძილის გავლა სასწავლებელს; მაგრამ მე აქ დაკუსენ, რომ ოზურგეთის ყველა სასწავლებელში, როგორც ვაჭრისა, აგრეთვე ქალებისა, ბევრი მოსწავლე არის სოფელეა, რომელიც სცხავრებს სოფელად, სასწავლებელად მ და ნ კერძის მინ-

ძალზედ და ყოველ დღე ამ სიშორეზე სვლას სასწავლებელს და სკოლადავამ სასწავლებელს, შეგიძლიანთ წარმოადგინათ, რა გასაკვირი იქნება ამ საცდამკვლევისათვის. ტანზედ მაინც ეგვართაბა, ან ფეხზედ! რასაკვირველია, როცა ქადაქა აკადემიოფობა და მოსწავლეები სოფელადამდ დადან, ისინი აკადემიოფობებს სოფელში აკადემიოფობას. ამიტომაც საჭიროა რამე საშუალება იხმარონ, რომ სენი არ გავრცელდეს. ჩემის აზრით-კი ერთადერთი საშუალებაა შესაძლებელია — ეს არის მოსწავლეების გაფრთხილება, რომ ცუდს ამინდებში არ იარონ სასწავლებელში, არ გატყუდნენ და ვისაც ყვავილი არა აქვს აზრად, ესაავე აყვრან.

ვინმე.

ს ი ტ ყ ვ ა ,

თქმული დეან. გაბრიელ ცაგარეშვილის მიერ 3 თებერვალს, 1896 წ. საკათედრო ტაძარში იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის გარდაცვალებაზე.

„ღაწელი კეთილი მომადგაწებებს, სრბა აღმოსრულებებს, სარწმუნოება დამამარსავს, ამოკადგან მომედას მე სამართლისა გავრცელებს, რომელიც მომცემს მე უფლებას მას დღეს შინა, მართლმან მან მსაჯულმან“.

(2 ტომ. 4, 7-8).

მწუხარებასა შინა მყოფნო მსმენელნი! როგორც ხედავთ, არ აღგვისრულდა ჩვენი ღვთისადმი გულმხურვალე ლოცვა-ვედრება, ჩვენი მოლოდინი, იმედი. „კმა არს შენდა ღვაწლი“, უთარა უფალიმან თვისსა მხნესა და ერთგულსა მონასა, რომელი იღვაწე სოფელსა შინა, მოვედ აწ და განისვენო“. და აი, ხომ ხედავთ, დაღუმიდნე ბავენი, რომელიც მთელი ნახევარი საუკუნე განუწყვეტლივ დაღლებდნენ სიტყვათა სიმართლისა და ქეშმარტებისათა! შესწყვიტა ცემა იმ გულში, რომელიც იმდენად ფართო იყო თვისი ქრისტიანული სიყვარულით, რომ მთელ ჩვენსა სიტყვანს იტევდა მისი ღირსებითა და ნაკლულევანებითა!

ღიხ, კუბოსა ამასა შინა განისვენებს ჩვენი ძვირფასი, სასიძღულო და სათაყვანო მოძღვართ-მოძღვარი, მასწავლებელთ-მასწავლებელი, მწყემსთ-მწყემსი, ყოვლად სამღვდლო გაბრიელი.

ნუ-თუ საჭიროა იმისი თქმა, რომ ჩვენთან ერთად, რომელიც გარს შემოგხვევიართ ამ ძვირფას კუბოს, მთელი ჩვენი ქვეყანა, კიდითი კიდემდე, სტირს და იგლოვს ამ კუბოსა შინა მდებარე მიცვალებულის დიარგვას!

გარნა რა ვქნათ, ძმანო და დანო, დავემორჩილოთ განგებასა უფლისას! დალილს ეპირვება შეხვენება, ამდენი ხნის მგზავრს საყოფელი სამუდამო. ხოლო ჩვენ რით ვინუგვმოთ თავი დღეს ამას მწუხარებისას? გავითვალისწინოთ ცხოვრება მიცვალებულისა ამის, სიტყვანი და საქმენი მისნი: ესე ვყოთ სანუგეზოდ და განსხნევებლად ჩვენდა და არა ქებად მიცვალებულისა ამის, რადგანაც ჯერ ერთი, — რომ არა ძალუძს უსუსურსა ენასა ჩემსა ღირსეული შესხმა მისი და მეორეც — ამით ქმუნვასა და მწუხარებასა შინა შთავადებლით დიდსა და მალსა სულსა მისსა, რომელიც ამ ქვეყნიურ სიკოცხლემში შორს გაუბრბოდა და ემაღლებოდა კაცთაგან

ქება-ღიდებს.

ღიხ, გავმხნევეთ და ვინუგეზო მით, ვისაც გათვალისწინებულნი ექნება უ-დ სამღვდლო გაბრიელის ცხოვრება, შეიგნებს, შეითვისებს მისს მოციქულბრივ ღვაწლს, — მათთვის თვით სიკვდილიც უღონო არს, ვერავითარი ძალა ვერ აღმოფხვრის მათის გულიდან უკუნისამდე უ-დ სამღვდლო გაბრიელის სახეს, მისს ხსოვნას და ზედ-გავლენას; იგი, უ-დ სამღვდლო გაბრიელი, მუდამ ცხოველ იქნება მათ გულში და უკუნისამდე არ შესწყდება მიცვალებულსა და მათ შორის სულიერი კავშირი და ერთობა. გავმხნევეთ და ვინუგეზოთ იმ მტკიცე რწმენით, რომ ამ ჩვენს საყვარელს, დაუვიწყარს მიცვალებულს მივლის საყოფელი მართალთა და ნეტარება დაუსრულბელი. თუ ერთ ვისმე მომაკვდებოდა ეთქმოდნ და ეთქმის, ამ ჩვენს ძვირფასს მიცვალებულსაც ეთქმის საღმრთო წერილის სიტყვები: „ნეტარ არს გზა ეგვი, რომელსა განმართებულსა, რომელიც აკადემიოფობა და სიტყვანსა და სიტყვანს თვისთა დასასჯელს“ — ამბობს სიტყვა ღვთისა, ანუ კიდევ: — „სასუფეველ ღვთისაზე, არ ითქმის, რომ იგი აქ არის არა იქ არისო“, არამედ „სასუფეველი ღვთისა შორის თქვენსა არსო“, ამბობს მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე.

ხოლო იმას, თუ რამდენად შეესაბამებოდა უ-დ სამღვდლო გაბრიელის მთელი ცხოვრება ამ უმაღლესს და ერთადერთ მიზანს კაცის ცხოვრებისა ქვეყანასა ზედა, თუ რამდენად ცხოვრება მისი მიმსწველნი იყო ამ მიზნისა, — ამის მოწამე ბრძანდებით არა თუ თქვენ ყველანი და სრულიად ჩვენი ქვეყანა, არამედ მრავალი უცხო ქვეყნენიც, რომელიც იცნობდნენ უ-დ სამღვდლო გაბრიელს მისს ნაწერებისაგან.

უ-დ სამღვდლო გაბრიელის მთელი არსება გამსჭვალული იყო იმ დიდი პასუხის-გების შემცნებით, რომელსაც ვალად სდებდა მას მისი უდიდესი წოდება მღვდელ-მთავრისა.

ყოველგან და ყოველგვარ მდგომარეობაში, შინ და გარედ იმას მუდამ ახსოვდა ის, რომ იგი იყო მღვდელ-მთავარი, რომელსაც დათრგუნვილი უნდა ჰქონდეს მისი ხარისხის, წოდების შეუსაბამო მაცურებელთა და მსმენელთა დამაბრკოლებელი და მაცოფებელი არა ხოლო შინაგანი, სულიერი ვნებანი და მოძრაობანი, არამედ გარეგანი სიტყვა-პასუხი, ქვეყა და მიხვრა-მოხვრა-კი. მას, უ-დ სამღვდლო გაბრიელს, მუდამ თვალ-წინ ედგა სახე ზეცურისა მოძღვართ-მოძღვრისა, მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტისი მისი ღვთიური მცნებით, რომელი იტყვის: „არცა აღნთანს სანთელი და დასდგან ქვეშე სვიმარსა, არამედ სასწავლებლსა ზედა და სწავლასა იგი ყოველთა, რომელნი იყვნან სახლსა შინა. გვრეთ ბრწყინებდნ ნათელი თქვენი წინაშე კაცთა, რათა იხილან საქმენი თქვენნი კეთილნი და აღადგინდნ მათსა სიტყვანსა“ (მათ. 5, 15-16).

ღიხ, უ-დ სამღვდლო გაბრიელი ყველა მის მაცურებელ და მსმენელთათვის იყო სანთელი, რომელიც ნათელს ჰფენდა ყოველ მხარეს კაცთა ცხოვრებისა ქვეყანასა ზედა; იგი იყო და კვლავაც მუდამ იქნება ჩვენთვის სახე, სარკვე:

როგორც მღვდელთ მთავარი, მოძღვართ-მოძღვარი, ემსა პირველად შემოსვლისა თვისისა დღეს მისგან დაიძლევეს სამწყსოსა შინა, პირველ მოძღვრებაში, რომელიც წარმოსთქვა გელათის მონასტერში 8 სექტემბერს, 1860 წელს, ჩვენმა დაუვიწყარმა მწყემსთ-მთავარმა დაუხატა მსმენელთა და მათთან ერთად სრულიად სამწყსოსა თვისისა, თუ როგორ ნათლად ჰქონდა მას წარმოდგენილი მღვდელთ მთავრის დიდი ტვირთი და პასუხის გება. ამ პირველ თავის სიტყვა-მოძღვრებას მან წინ წაუძღვარა წმ. მოციქულის მიერ დახატული სახე ეპისკოპოსისა და მღვთის მშობლის წმინდა სავანეში აღთქმა დასდვა ღვთის წინაშე, რომ იგი ყოველ ძალ-ღონეს, სიკოცხლეს შეაღვედა იმ იდეალის განხორციელებას ცხოვრებაში.

აი ეს იდეალი: „ჯერ არს კუბისკო-პოსისა, რათა უხალა იყოს, ფრთხილ, წმიდა, შეკრულ, სტუმართ მოყვარე, სწავლულ.“ (ტიმ. 3, 2). „უბაწო, ვითარცა ღვთის მონა, ნუ თავსედა ნუ გუფმუყვად, ნუ მეღვინე, ნუ საძაგელისა შემხინე, არამედ მუფდრო, სტუმართ-მოყვარე, კეთილისა მოყვარე, კერძისის უყვარულ.“ (ტიტ. 1, 7).

ზევით ღმერთი და ქვევით ჩვენ ყველა მოწამე ვართ მისი, რომ მას, თავისს ხანგრძლივ მოღვაწეობის დროს, ერთხელაც არ შეუბღალავს ეს იდეალი, ერთხელაც არ უღალატნია თვისი აღთქმისთვის არც საქმით, არც სიტყვით. მრავალთა სხვა-და-სხვა მღვდელთ-მთავრის მოვლილობათა შორის, ყოვ. სამღ. გაბრიელი, ხალხში ზნეობის აღდგინებისა და განმტკიცებისათვის, უმეტესს თავისს ყურადღებას სამართლიანად აპყრობდა სწავლა-მოძღვრებას.

ამ მხრივ იგი სიტყვა-სიტყვით ასრულებდა წმ. მოციქულის დარიგებას, რომელი იტყვის: „ჭკადგე სიტყვა ზედა-ადგე ყმათათ-უყამოდ. ამხადე, შერისხენ და ნუგეშინს-ეც ყოველთა სუფგრამელებათა და მომღვრებთა“ (2 ტიმ. 4, 2.) მას, ყოვ. სამღვდლო გაბრიელს, სწავლა-მოძღვრება მიზნული ჰქონდა წირვა-ლოცვის ნაწილად და, თავისს ხანგრძლივი მღვდელთ-მთავრობის დროს ხშირად ლოცვაზედაც-კი, თორემ იშვიათად მომხდარა, რომ მას წირვა შეესრულებიოს უქადაგებლად. აქუადგილო იქნება, რასაკვირველია, შეუდგეთ გაბრიელის სწავლა-მოძღვრების განხილვას; ვიტყვით მხოლოდ, რომ მისი სწავლა-მოძღვრება, მისი ქადაგებები შეიცავენ, აკმაყოფილებენ ყველა იმ მოთხოვნილებათა და პირობათა, რომელიც ნაყოფიერ ხდიან საზოგადოთ სწავლა-მოძღვრებას და ურომლოთაც სწავლა-მოძღვრება ემგზავება „რკალსა, რომელი იხრან, გინა წინწილსა, რომელი ჰმობედ (1 კორ. 13, 1).

მას, ყოვ. სამღვდლო გაბრიელს, როგორც მოძღვარს, მქადაგებელს მუდამ ახსოვდა დარიგება წმ. მოცი-

ქულისა, რომელი იტყვის: „სიტყვანემა და ქადაგებან ჩემი არა რწმუნებთა კაცობრების სობრძინას სიტყვათათა“ (1 კორ. 2, 4) „არამედ ვითარცა ღვთისაგან წინაშე ღვთისა ქრისტეს მიერ ვიტყვი“ (2 კორ. 2, 18). ამიტომ ენა მისი ქადაგებისა არის ისეთი, რომელიც გასაგებია თვით სრულიად უსწავლელ მსმენელთათვის; ქადაგებანი მისნი სიგრცით არიან მოკლენი, ხოლო აზრით, სწავლით ვრცელნი და სრულნი.

მას, ჩვენს დაუვიწყარ მოძღვართ-მოძღვარს, კარგად ჰქონდა შეგნებულნი თვისი სამწყსოსი საქირობა-ნაკლულევანებანი, რათა შესაფერი ნუგეში და წამალი მიეწოდებია მისთვის. მას შესისხლ-ხორცებული ჰქონდა ის უტყუარი რწმენა, რომ ყოველი სწავლა-მოძღვრება, ქადაგება, წარმოთქმული თუ გინდ ოქრობირულის მქერმეტყველებით, არა თუ მკვდარ არს, არამედ მაგნებელი და მაცდუნებელიცაა მსმენელთათვის, თუ მქადაგებლის სიტყვა არ ეთანხმება მის საქმეს, ყოფა-ქცევას, ცხოვრებას.

ამიტომ მისთვის სიტყვა და საქმე ერთი იყო. შუა არ ედგა მზღვარი. ბოლოს ისიც მცნებთ ჰქონდა შეთვისებული ჩვენი ძვირფასი მოძღვართ-მოძღვარს, რომ მქადაგებელს, მეტადრე სარწმუნოებისა და ზნეობისას მოვთხოვების გულ-წრფელობა, მტკიცე რწმენა მისი, რასაც იგი სხვას უქადაგებს. ეს შინაგანი, უხილავი კავშირი, დამოკიდებულება სულისა, რწმენისა სიტყვასთან თვალსაჩინოდ, თითქო სახილველად ჩნდებოდა ყოველთათვის, როცა ჩვენი დაუვიწყარი მღვდელ-მთავარი იწყებდა ქადაგებას: მაშინ იგი, ვისაც მოუსმენია მისი ქადაგება, თვითონაც შეამჩნევდა ამას, თითქო სულ სხვა კაცად გვეჩვენებოდათ, ისე ეცვლებოდა მას ამ დროს სახის გამომეტყველება; ამ დროს ადვილად წაიკითხავდით იმის სახეს, რომ იგი მთლად შეუბყრია იმ სურვილს, რომელიც თვისი სიტყვა, რომელიც ქეშმარტებად და საბედნიეროდ მიანია მსმენელთათვის, როგორმე ჩააწვდინოს მათის გულის სიღრმეებს. და მართლაც, ძნელად თუ ვინმე მოისმენდა მის სიტყვას გულ-ცივიდ! უ-დ სამღვდლო გაბრიელმა კარგად იცოდა ის, რომ შემდეგ სწავლა-მოძღვრებისა, ხალხში ზნეობის ამალღებებსა და განმტკიცებაში მეორე ადგილი უჭირავს ეკლესიის და ეკლესიურ ღვთის მხატვრებს და კიდევ ამიტომ ჰქონდა ამ საგანზე მიტყული დიდი ყურადღება. ვინ მოსთვლის, რამდენი ეკლესია აშენდა იმერეთის ეპარქიაში მისი შეგნებით, მისი მეცადინეობით და ბევრგან მისის უხვი შეწირულებითაც, როგორც მაგალითად ქუთაისის ამალღების ეკლესია. ქეშმარტად უ-დ სამღვდლო გაბრიელისათვის არ არსებობდა, მგონია, ქვეყანაზე იმაზე უფრო დიდი და სასიხარულო დღე, როგორც ეკლესიის კურთხევის დღე. ამას დაუმიტეთ ისიც, რომ მის გამჭირვებებსა და დაკვირვებულ ნიჭს არ დარჩენია აღუნიშნელი და უმხილველი არც ერთი, როგორც საზოგადო კაცთა ცოდვანი და ნაკლულევანებანი, ისე, ზოგიერთი, მეტადრე ჩვენს ხალხში გავრცელებულნი ცუდნი, სასიკცხო ზნე-ჩვეულებანი, და მაშინ ადვილად წარმოსდგენი



საბურთალოს ადგილობრივი ჟურნალი

ნარკვევა

(ჟურნალ-გაზეთებიდან.)

აწ განსვენებულის ეპისკოპოსის გაბრიელის გარდაცვალების ამბავს ადგილობრივი რუსული გაზეთები მეტად უცნაურად (მეტი რომ არა მხოლოდ) ახალ ამბად აუწყა თავის მკითხველთ ეს გარემოება, ნეკროლოგს-კი არ ვებეჭადეთ, რადგან გაბრიელის შესახებ წინა წელიწადში ვსტკვით ყოველისფერი; მეორე გაზეთიც თითქმის ასევე მოიქცა; მესამე გამოაცხადა—ნეკროლოგი შემდეგისათვის გარდავიდეთ (ნეტავი სრულიად არ დაეგებდა!) რუსეთის დეპუტათა სააგენტოს ტფილისის აგენტმა ხომ ჩვეულებრივად არ სცნო ქართველთ სავალალო საქმე საყურადღებოდ!.. უყურადღებოდ დატოვებას კიდევ თქვენი ქირი წაუღია, უბედურება ის არის, რომ ცილისწამებასა და უადგილო, უზრდელ, ურიგო რომეზასაც დაუთმო თავისი ფურცლები ერთმა მათგანმა—ოფიციალურმა „კავკასიამ“ შესანიშნავი ქართველის დაფასება მიანდო აღამიანს, რომლისთვისაც არ არსებობს არავითარი წმიდათა-წმიდა! ამ ვაჟბატონმა არ მიაქცია ყურადღება არც დროს, არც ქართველთ საერთო გლოვასა და ჯავრს და წაბილწა რიგინად დაწყებული წერილი თვისი. ბ. ხონელი ამტკიცებს, რომ განსვენებულს დესპოტიური ხასიათი ჰქონდაო, რომ მას არ შეეძლო პირუთენელად, მიუღლომელად მოპყრობა და სხვებსაო, რომ მასთან საქმის დაქვერე შეუძლებელი იყო, წინააღმდეგს აზრს არ ითმენდაო, ყველას ექვის თვლით უყურებდა, ყველას ეომებოდა და სხვა და სხვა. ჩვენ, რასაკვირველია, პოლემიკაში არ გამოუდგებით ილია ხონელს. ჯერ არ არის ამის დრო. ჩვენ გვინდა ალფინიზმით უმხოლოდ, რა ურიგობაა ამგვარის სიტყვების წამორჩევა და დაუსაბუთებლად, აუწონ-დაუწონველად მაშინ, როდესაც გასვენებული ჯერ არ დაუსაფლავებიათ, მაშინ როდესაც მთელი ქართველი ერი გულ-წრფელად გლოვს და სწუხს დაუვიწყარის მღვდელ-მთავრის დაკარგვას!

უცხოეთი

ინგლისი. გარეშე საქმეთა სამინისტროს ნამდვილი ცნობები მოუვიდა იმის შესახებ, რომ შუა აფრიკაში ინგლისელ ჯარს ბრწყინვალედ გაუმარჯვნია იქაურ მცხოვრებლებზე, ნაისის ტბის დასავლეთ ნაპირას. ბრიტანის ჯარს შეადგენდა: 150 მუღმივი ჯარის-კაცი და 5000 მათი მომხრე მცხოვრებლები. ამ ჯარმა საბოლოოდ დაამარცხა მონებით ვაჭრების ჯარი, რომელიც 5,000 კაცისაგან შედგებოდა, დაიჭრა იმათი სიმარცხეები და განადგურა 50 სოფელი. დატყვევებულ იქნა რამდენიმე წინამძღოლი ჯარისა და ამინარიად ძირიანად ამოიფხვრა შუა აფრიკაში გავრცელებული მონებით ვაჭრობა.

გაიხსნა სპარალმენტო სესია. ჩვეულებრივად წაითხულ იქნა სეფე-სიტყვა, დაახლოებით შემდეგის ში-

ქნება ის, რომ ყ-დ სამღვდლო გაბრიელმა მისი სწავლა-მოდერნიზაციით, როგორც ამბობს ერთი მისი ცხოვრების აღმწერი, ღრმა კვალი გააფარა იმიერ საქართველოს ზნობრივ ცხოვრებაში. აქ უნდა მოვიხსენოთ ისიც, რომ ყ-დ სამღვდლო გაბრიელი სწავლა-მოდერნიზაცია არ იყო მოკლებული მისიონერულ ხასიათსაც, რის შედეგად იყო დამყარება ქრისტიანობისა აფხაზთა შორის.

როგორც მმართველი ეპარქიის, როგორც უფროსი, ადმინისტრატორი, ყ-დ სამღვდლო გაბრიელი ქვეყნის მზრუნველი მამა იყო ჩვენი. თუმცა მწყემსთ-მთავრის რთული და უუძნეველი თანამდებობისათვის თვითიყო აღჭურვილი საფუძვლიანის განათლებითაც, წრფელი სურვილითაც, უცნაურის ენერჯითაც, მაგრამ ყველა ამასთან მან კარგად იცოდა ისიც, რომ ერთი კაცი ბრძოლის ველზე საწყალოა, რომ მისთვის საჭირო იყვნენ მომხრენი, თანამშრომენი, თანამშრომელი. მღვდელთ-მთავრის თანამშრომელი სამღვდლოება. გარდა შეეძლო ჯეროვანი თანამშრომლობა გაეწია მისთვის მაშინდელ სამღვდლოებს, რომელიც არც გონებით, არც ზნობით და არც სხვა გვარ ცხოვრების პირობებით დიდად არ განიხრეოდა თავთავიანი სამწყსოსაგან? რასაკვირველია, არა. და აი ყოვლად სამღვდლო გაბრიელი შეუდგა იმ დღეს და საძინელო საქმეს, რათა მისდამი რწმუნებული სამღვდლოება გამოეყვანა მათი სამღვდლო მოვალეობათა და მამაკოლებელ გარემოებათა და პირობათაგან. და როგორც ყოველი მისი სხვა შრომა, არც ეს ცდა დარჩა უნაყოფოდ: მან ნახევარზე მეტად მიაღწია მიზანს: აღამაღლა მისდამი რწმუნებული სამღვდლოება გონებრივად, ზნობრივად და გააუმჯობესა ცოტადენი მანაც მისი მატერიალური მდგომარეობაც. მისი შეგნებით, მისი ზედგავლენით, მისი ზნობრივი და ზოგიც მატერიალური შემწეობით აღმოცენდნენ და წარემართებანი თითქმის ყველა ქუთაისში არსებულნი სასულიერო სასწავლებლები. როგორც მზრუნველ მამას სრულიად თავისის სამწყსოსისა ყ-დ სამღვდლო გაბრიელს, გარდა ზნობრივი სწავლა-მოდერნიზაციის, რომლისათვისაც მას, როგორც ზევით მოვიხსენიეთ, არ გააჩნდა არც დრო და არც უადროობა, დიდი ყურადღება ჰქონდა მიქცეული ხალხში საზოგადო სწავლა-განათლების გავრცელებისათვის. დღიდგან შემოსვლისა ეპარქიაში იგი მუდამ ზრუნავდა, რათა სამღვდლოებას გაეგრძელებინა ხალხში პირველ-დაწყებითი სწავლა საეკლესიო სკოლების საშუალებით. ამ ბოლო დროს ხომ მისივე შეგონებით, წაქეზებით და ბევრგან ისევ მატერიალური დახმარებით, მისმა სამღვდლოებამ ათი წლის განმავლობაში ასამდე აიყვანა რიცხვი სამრევლო საეკლესიო სკოლებისა. როგორც უფროსი ყ-დ სამღვდლო გაბრიელი იყო მშვიდი, მომთმენი, კანონიერების და სამართლიანობის მოსარჩლე, ყველა მხოვნიელის ეამიერად და უშამოდ მიღები, ყველასი ყურადღებით მომხმენი, უკეთურთა და უკუღმართთა მტუქსავი, შეცდომილთა და შენანებულთა შემბრალე და მოწყალე. როგორც ღვთის მსახური, როგორც ქრისტეს მესაღვმედი ყოვ. სამღვდლო გაბრიელი იყო ერთგული,

ნარისის: მთავრობას ყველა სახელმწიფოებთან კეთილი განწყობილება აქვს. საფრანგეთთან შეთანხმებას აზრად აქვს—განამტკიცოს სიამის სამეფოს დამოუკიდებლობა. რუსეთთან შეთანხმება ავგანის საზღვრების გამოჯენის გამო სასიამოვნოდ დაბოლოვდა. შვედეთის უტატების მთავრობამ განაცხადა სურვილი რაც შეიძლება მალე შეუთანხმდეს ინგლისს ვენესუელის გამოჯენის შესახებ. სულთანმა შეიწყნარა სომხების პროვინციებში მოსახლენი რეფორმები, რომელთა განხორციელებისათვის ბევრი ეცადა ინგლისისა, საფრანგეთისა და რუსეთის მთავრობა. ტრანსვალის რესპუბლიკის პრეზიდენტმა, კრიუკერმა, დაარწმუნა ინგლისის მთავრობა, რომ ის ყურს ათხოვებს მკვიდრთა უმრავლესობის სურვილსაო რეფორმების მოხდენის გამო. აშანთების წინამძღვრ ბალაშქრება სასურველად და მალე დასრულდა, თუმცა ინგლისმა დაპყრობა სასიკადულო მამულის შვილები, მათ შორის პრინცი ბატენბერგი. შინაურ საქმეების შესახებ სეფე სიტყვაში ყრუდ მოხსენებულია, რომ მთავრობას ჰსურს, გააუმჯობესოს მეურნეთა მდგომარეობა, გააფართოვოს მუშათა შესახები კანონ-მდებლობა და ირლანდიისთვის ახალი აგარული კანონ-პროექტი შეიმუშავოს.

პარლამენტში გაცხარებული ბაალი ინგლისის მთავრობის გარეშე პოლიტიკის შესახებ. სხვათა შორის ჩარლზ დილკმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც ენერჯიულად გაჰქიცხა სოლსბერის სამინისტროს პოლიტიკა.

საფრანგეთი. ამ დღეებში გასხრიკეს საერთაშორისო ბანკის დირექტორი. გაზეთები ამბობენ, რომ განჩრკამ აღმოაჩინა საბუთები, რომელთაგან ცხადია სჩანს, რომ პანამის საქმის განხილვის დროს 600-ათასი ფრანკი დაურიგეს თურმე ქრთამათ სხვა-და სხვა პოლიტიკურ მოღვაწეს. ამბობენ გამოძიება საყურადღებო ფაქტებს აღმოაჩინოს.

შურნალ-გაზეთებიდან და წიგნებიდან

ამოკრებილი ამბები.

— ვიურტემბურის პროფესორის რენტენის აღმოჩენილმა სინათლემ მიიქცია მთელის ქვეყნის მეცნიერთა ყურადღება. არ არის არც ერთი იმისთანა ადგილი ევროპაში და სხვაგანაც, საცა განათლება, რომ არა ჰქვლიდნენ ძალს ახლად აღმოჩენილ სინათლისას. ყველანი და ყველგან შესდგომიან, რომ ეგ აღმონაჩენი გამოიყენოს მკურნალობაში, მგზანიკაში, ასტრონომიაში და სხვა მეცნიერებაში. ამას წინად ჩვენს გაზეთში მოხსენებული იყო რაში მდგომარეობას ეს აღმოჩენი. რენტენის სხვა სამეცნიერო საგანს იკავლდა და გზა და გზა მოაწყდა ერთნაირს სინათლეს. ამ სინათლის ძალით სავანი, რომელსაც თვალის სინათლე ვერ გაუშლის და ვერ გაატანს, ესე იგი, რომელიც თვლით მთლად უხილავია, ფოტოგრაფიით გადასაღებად შესაძლო შეიქმნა. მათგან თვებში, სავანი რამ, დაკეტილ ხის ყუთში ჩადებული, თვალისათვის, მაშასადამე, უხილავი, ამ სინათლის შემწეობით შესაძლოა ფოტოგრაფიამ გადიდოს და გადიბუქდოს.

რენტენის აღმოჩენამა სინათლემ ეს თავისი ძალა მართა ძვლებსა, რკინეულობასა და სხვა ამისთანაზე იჩინა. ანოტომატ თვითონ რენტენმა და სხვა მისებრ მცდელებმა მეცნიერებმა მართა ამისთანაების გადაღება ფოტოგრაფიით მოახერხეს. მაგალითებრ, როცა ადამიანის შიგნულ აგებულების გადაღება მოინდომეს, გამოვიდა, რომ ძვლების ჩონჩხი (სკლეტი) გადაღებულ იქნა და ის ნაწილები-კი, რომელიც ხორც-სხმუ-

ლია, არ გადიდო ფოტოგრაფიამ. ესლა, როგორცა სჩანს, ამისათვისაც გზა გაუხსნიათ. ეგ იმაზე თურმე დამოკიდებული ვინ რა გზით იხმარებს აღმოჩენილ სინათლეს და შორს არ არის ის დრო, რომ ამ სინათლის ხმარებას იმ სისრულემდე მიიყვანენ, რომ წინ აღარა დაუდგება-რა.

გერმანიის გაზეთები იუწყებიან, რომ პროფესორს კისლინგს ეს ახლად აღმოჩენილი სინათლე უცდია ხორც-სხმულის გადასაღებად და იმოდენად მოხდენია საქმე, რომ ეჭვი აღარ არის საქმის სისრულემდე მიყვანისა. მას ორხულის დედაკაცის შიგნულთაში გაუტარებია სხივი შხალის სინათლისა და ფოტოგრაფიას საკმაოდ ცხადად გადაუღია გამხატულება ჩასახულისა, რომელსაც აგებულების ნაწილები უკვე დასრულებული ჰქონია. კესლინგის, თუმცა არ ამბობს, რა გზით უხმარია ეს სინათლე ამ შემთხვევაში, მაგრამ იმედს იძლევა, რომ ამ ახლო ხანში მთელს შიგნულს ადამიანის გავიანს გადავიღებ ფოტოგრაფიითაო.

ამავე გზას შესდგომიან პარისის მეცნიერნი პერენი და კლინი. ამათ მიერ ფოტოგრაფიით გადაღებულმა აგებულებამ მთელის ბაყაყისამ ცხადად გადმოხაზა მთელი შიგნულთა და მთელი წყობა სისხლის ტრიალის აგებულებაში. ამ ცდის ხსენებულსაგან პროფესორები ბატელი და ჰარბატო იტალიაში, ლილის ფიზიკოსი კამიშელი, ლიონის ფიზიკოსი ბორკლადი, ასტრონომი ჭლამარიონი და სხვანი მრავალნი. ყველას დიდი იმედი მისცემია, რომ ახლად აღმოჩენილი სინათლე შემძლებელ იქნება ყოველივე წვლილი აგებულებისა, სულიერისა თუ უსულიერის, ცხადად და უკლებლად გადაღებინოს კაცს ფოტოგრაფიითაო.

— კიდევ ორიოდ ამბავი სპილოს გონიერებისა. სპილო ძალიან კეთილი და უწყინარი პირუტყვია, ყველაფერში მორჩილია და ყოველთვის იმის სურვილშია, რომ თავის პატრონს და ერთობ იღამიანს არ აწყენინოს-რა. რასაკვირველია, ეს ითქმის მართო იმისთანა სპილოზე, რომელიც გაშინაურებულია და არა გარეული. ყოველ სიკეთესთან სპილოს ერთი ავი-ზნე სჭირს, რომ თუ კაცმა აწყენინა რამე, დაიხმომებს და როცა იქნება ჯავრს ამოიყრის. ამისი მაგალითი არა ერთი და ორია.

ინდოეთში სპილო ყოველ დღე თურმე ქუთებში დასეირნობდა. ყოველ დღით ერთის დერცის სახლის წინ გაივილიდა. დერცოი თანჯარასთან თურმე იჯდა ხოლმე და თანას საყვარეს ისე ჰყურავდა. სპილო წმირად გაიბიძგა თურმე თავის ხორთუმს და ფანჯრიდან გადააწვდნდა შიგნით თითქო ჰსურს შეიტყოს შიგნით რა ამბავიაო. დერცოი კარგა ხანს ყურს არ ათხოვებდა ამისთანა კანდიერებს სპილოსას; ერთხელ როგორღაც ცუდ-გუნებაზე შეხვდა სპილოს და როცა ამან თავისებურად ხორთუმი ფანჯარას გადააწვდნა, დერცომა ნემსი უჩველიტა. სპილომ ხორთუმი გამოიღო მაშინვე, და თითქო აქ არაფერიაო, თავის გზაზე წვიდა ისე, რომ არავითარი წყენა არ გამოუჩენია. მეორე დღეს სპილომ გზაზე წუმზე მონახა; შეისრუტა ხორთუმში ტლახიანი წყალი, მივიდა დერცის ფანჯარასთან და ზედ-კი შეხსნა წუმზე წყალი საბრალოდ დერცის. ამ სახით ჯავრი ამოიყარა.

ამისთანავე ამბავს გვიამბობს კაპიტანი შიპი თავის თხზულებაში. მინდოდა შემეტყო მეხსიერება დიდი აქვს სპილოსა, თუ არაო. ბევრი გამეფრანო, რომ სპილომ დიდი ხანი იცის სხოვნა და მინდოდა გამოემეტადაო. ერთხელ მივედი და ორი ნაჭერი კარაქ-წასმული პური მივაწოდე სპილოსაო... სპილო ერთს ნაჭერს პილოლით მოვაყარე და მეორე ზედ დავაფარეო. სპილოს ძალიან უყვარდა კარაქ-წასმული პური, ხოლო პილოლი-კი მეტს-მეტად ეჯავრებოდაო. სპილომ შეჭმა და არა იწყინა-რა იმ ეამადო. ექვს კვირას შემდეგ კიდევ მივედი. პირუტყვი სიამოვნებით და აღერსიანად მომეცა, როგორც ყოველთვისა, არაა ბოროტი არა შემანიშნინა-რაო. მაშინ ვიფიქრე, რომ სულ ტყუილი ყოფილა რასაც სპილოს მეხსიერებასა და დახსოვნაზე ლაპარაკობენ-მეთქო. მაგრამ სპილომ მალე მომარჯულაო. პირუტყვმა უტრად ხორთუმი ჩაჭყო იქვე წუმზეში და ისეთი შადრევანი მომიშვა, რომ თავიდან ფეხამდე ამოვიწყებო.

წერილი რედაქციის მიმართ.

უპირატესად გთხოვთ თქვენს გაზეთს სამუდამოდ ნება მიხდეთ ჩემს ამხანაგების მადიდებელ უგულოთადად...

ნება მომეცით თქვენს გაზეთს სამუდამოდ უგულოთადად მადლობა გარდაუხადებლად...

საქართველოს თავადნი. თავადნი მაჩაბელი. საქართველოს მეფის აღქმისადრე გუგუშვი 15 აგვისტოს 1736 წლის ბრძანებად...

25 მარტს 1826 წელს უმაღლესად დამტკიცებულს სასჯელმწიფო საბჭოს განჩინებით თავადებად ცნობილ და V გვარეულობათა წიგნში შეტანილ ანაბე...

დებეშა

(რუსეთის დებეშა სააგენტოსაგან).

პატივგაზი. გამოცხადებულ იქმნა უმაღლესი ბრძანება იმის შესახებ...

პარია. როგორც მიღებულ ცნობებშია სჩანს, ჰავლიაკი, რომელმაც ვენის რკინის გზაზე ვაგონში ორი კაცი მოჰკლა და 50,000 მანეთი წაიღო...

ლონდონი. როგორც ამბობენ, გვირგვინის კურთხევაზე დასასწრებლად მოსკოვში დედოფლის წარმომადგენლად ჰერცოგი კონსტანტინი იქნება...

ლონდონი. როგორც ამბობენ, გვირგვინის კურთხევაზე დასასწრებლად მოსკოვში დედოფლის წარმომადგენლად ჰერცოგი კონსტანტინი იქნება...

სოფია. ვანზარხა აქვთ სასახლეში მართლმადიდებელთა ეკლესია ააშენონ. პრინცი ბორისი განსაკუთრებულს სადგომში სცხოვრობს...

ქიმიკი ვასილი იქნება, რომელიც რუსეთში შარშან გაგზავნილ დებუტატა შორის იყო.

პატივგაზი. 6 თებერვალს მოსკოვიდამ პეტერბურგს დაბრუნდნ მათი იმპერატორებითი უმაღლესობანი დიდი მთავარი ვლადიმირ ალექსანდრეს ძე და მეუღლე მისი მარიამ პავლეს ასული.

6 თებერვალს მოსკოვიდამ პეტერბურგს დაბრუნდა საიმპერატორო სასახლის მინისტრი გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი.

პარია. ბურჟუაზი განუცხადა პალატის უკიდურეს მემარცხენეა დებუტატებს...

მედა. კონსტანტინეოლიდამ იუწყებინა, რომ გვირგვინის კურთხევაზე დასასწრებლად მოსკოვში ოსმალეთის საგანგებო საელჩო იქმნება...

ლონდონი. როგორც ამბობენ, გვირგვინის კურთხევაზე დასასწრებლად მოსკოვში დედოფლის წარმომადგენლად ჰერცოგი კონსტანტინი იქნება...

ლონდონი. როგორც ამბობენ, გვირგვინის კურთხევაზე დასასწრებლად მოსკოვში დედოფლის წარმომადგენლად ჰერცოგი კონსტანტინი იქნება...

ლონდონი. როგორც ამბობენ, გვირგვინის კურთხევაზე დასასწრებლად მოსკოვში დედოფლის წარმომადგენლად ჰერცოგი კონსტანტინი იქნება...

ლონდონი. როგორც ამბობენ, გვირგვინის კურთხევაზე დასასწრებლად მოსკოვში დედოფლის წარმომადგენლად ჰერცოგი კონსტანტინი იქნება...

ლონდონი. როგორც ამბობენ, გვირგვინის კურთხევაზე დასასწრებლად მოსკოვში დედოფლის წარმომადგენლად ჰერცოგი კონსტანტინი იქნება...

სანაპი. საფრანგეთის სინდიკატმა ჩინეთის მთავრობას წინადადება წარუდგინა 100 მილიონი დოლარით...

არის სესხი გაუჩინოს ფასიანი ქაღალდების გამოცემად იმავე პირობებით როგორც ჩინეთ-რუსეთის სესხსა აქვს.

Table with 4 columns: მსოფლიო, მან. კ., მან. კ., მან. კ. and rows of financial data.

განსჯალებანი

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდანიას (კუთაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ). ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე კვირა დღეებს გარდა.

- ბ. ა. ნავასარდანი, 11-12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულბანი სახი რურგია, ვენერიული და სიფილისი.
ე. მ. ჩაქვანი, 9-10 საათ. სნეულბანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ქ. ქაღი ა. ი. დუნაევა-რუდენკო 11-12 საათ. სნეულბანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.
ა. ჭ. შარვაშვილი, 12-1 საათ. სნეულბანი: ყურისა, ყელისა (ცხვირის და გულ-მკერდისა) ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ასლად გამოვიდა და ისეიღება

ქართული ბალობა

მღვდლისა და მღვდელ-მთავრისათვის, გამცემს მ. შარვაშვილისა და ამხანაგებისა, გადამცემი ფ. ქარაძის მიერ. გადმოცემულია: ანტონ ნ. დუმბაძისა, დიმიტრი ჭავჭავაძისა, მთავარ-დაიკანის რაჟან თ. სუნდაძისა და ავთანუხიანისა. რამდენიმე სავსებელია გადმოცემულია მღვდელმთავრის გ. ნავაშვილისა და მღვ. ნესტორ ე. კანტარაძისაგან.

წიგნი 174 გვერდი და ლირს ერთი მანეთი. ცალფა ხმები: დამწებებისა, მაღალი ბანისა და ბანისა თვითოეული წიგნი 70 გვერდი და ლირს ორ-ორ აბაზად. ვინც სამივეს ერთად იყიდის, ერთ მანეთად დაეთმობა. წიგნები ისყიდება წერეთლის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ოსტრეგოვში თავართქილაძესთან და გამომცემელთა მ. შარვაშვილისა და ამხანაგების სტამბაში, ნიკოლოზის ქუჩა, № 21.

მ. შარვაშვილი და ამხანაგების სტამბაში მიიღება ნოტების გამცემისა და იმგვარადვე იბეჭდება, როგორც ჩვეულებრივი წიგნი. ნოტების ბეჭდვა შეიძლება ცალკე წიგნად და აგრეთვე სხვა ჩვეულებრივ წიგნთან ერთად შიგ ჩართვით.

ს. მ. შუგინოვი. 12-1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, ორშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

ს. მ. შუგინოვი. 5-6 საათ. ორშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ს. მ. შუგინოვი. 5-6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

ს. გ. გურგია, 6-7 საათ. სნეულბანი: სიფილისი, ვენერიული, ში. ნიგანი და კანისა.

ს. გ. გურგია. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარსს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ. ჩრევა-ღარიბებისა და რეცხვების დაწერის ფასი ათი შური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწილიცა აქვს ავადმყოფთათვის. დირექტორი სამკურნალო დოქტორი მუდარდინისა ნავასარდანი. (წ.)

გბილის ექიმი

სოლოლაკედ,საკუთ. სახლებში №№ 14-16 ავადმყოფებს მიიღებს: დღით 10-დგან 2 საათამდე. საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.
პირა-უამე დედავი
დღის 10 საათიდან ნაშუადღევს 2 საათამდე. (166-1891-73).

გამოვიდა კ. თავართქილაძის მიერ გამოცემული ახალი წიგნები:
1) „საჩუქარი“ (ლოქსთა კრება) მოზრდილ ყრმათთვის. შეკრებილი ი. გომელაურის მიერ. 48 გვერდი ფასი ერთი შური.
2) „დემონი“ მ. ლერმონტოვისა. თარგმნილი მ. გურიელისა. ავტორის, მთარგმნელისა და 8 სხვა სურათით კარგ ქაღალდზე. ფასი 10 კ.
3) „ქაღები“ (ანუ ყველა მეცნიერთა და ფილოსოფოსთა თქმული და გაგონილი ქაღების შესახებ). შეკრებილი თ. სახოკიას მიერ. სურათით, მშენებლის ქაღალდზე 20 კ.
4) „რამდენიმე ლექსი“ ანდრო უჩაიშვილისა, ფ. 15 კ.